

# ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო"

## პროექტის შედგენის სახელმძღვანელო

(ფონდში "ღია საზოგადოება-საქართველო" გრანტის მოსაპოვებლად წარმოდგენილი განაცხადი/პროექტი უნდა მომზადდეს ქვემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით)

განაცხადი შემოტანილი უნდა იყოს ნაბეჭდი სახით სამ ეგზემპლარად, როგორც წესი, ქართულ ენაზე (გამონაკლისი შეიძლება ინგლისურ ან რუსულ ენაზე, თუ ა) განაცხადი განსახილველად ეგზავნება ქსელურ პროგრამას; ბ) არის პარტნიორული პროექტი; გ) განმცხადებელი არ ფლობს ქართულ ენას.

განაცხადი უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან:

- თავფურცელი
- ინფორმაცია განმცხადებლის და შემსრულებლის შესახებ
- პროექტის აღწერა
- პროექტის შესრულების განრიგი
- ბიუჯეტი
- მოსალოდნელი შედეგები
- მონიტორინგი და შეფასება

განაცხადს უნდა ერთვოდეს:

- სფეროში მომუშავე ექსპერტების მიერ გაცემული ორი სარეკომენდაციო წერილი

განაცხადს შეიძლება დაურთოთ:

- დამატებითი ინფორმაცია/დანართები (ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც განამტკიცებს განაცხადს და გახდის მას უფრო დამაჯერებელსა და გასაგებს)

არასრული განაცხადი ჩაითვლება ტექნიკურად გაუმართავად და არ განიხილება ფონდის მიერ.

თითოეული ეგზემპლარის თავფურცელი უნდა იყოს ხელმოწერილი პროექტის დირექტორის მიერ და წარმოადგენდეს დედანს. რეკომენდაციები წარმოდგენილი უნდა იყოს ერთი დედნისა და ორი ასლის სახით.

ფონდში წარმოდგენილი განაცხადი (პროექტი) განმცხადებელს არ დაუბრუნდება.

სააპლიკაციო ფორმის შევსებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია პროგრამის კოორდინატორთან სპეციალურად დანიშნული კონსულტაციების დროს.

## ინფორმაცია განმცხადებლის და შემსრულებლის შესახებ

ეს ნაწილი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ფონდში პროექტის წარმდგენის და პროექტის შესრულებაში/განხორციელებაში მონაწილე პირებისა თუ ორგანიზაციების შესახებ. მისი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ გვერდს.

სააპლიკაციო ფორმის აღნიშნული ნაწილი უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას იმის

გათვალისწინებით თუ როგორია განმცხადებლის სტატუსი:

*იმ შემთხვევაში თუკი განმცხადებელია ორგანიზაცია/იურიდიული პირი:*

- მიუთითეთ ამ ორგანიზაციის სრული დასახელება.
- ორგანიზაციის რეგისტრაციის თარიღი, მარეგისტრირებული ორგანოს დასახელება და რეგისტრაციის ნომერი.
- ორგანიზაციის ძირითადი მიზნები.
- მიუთითეთ, გაქვთ თუ არა მიმდინარე პროექტი ფონდში (პროექტის სათაური, პროექტის კოდი/საგრანტო ხელშეკრულების ნომერი).
- მიუთითეთ ის პროექტები რომელთა შესრულებაზე მუშაობდა თქვენი ორგანიზაცია ბოლო ორი წლის განმავლობაში.

*იმ შემთხვევაში თუკი განმცხადებელი კერძო პირია:*

- მიუთითეთ განმცხადებელი პირის სახელი, გვარი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემები (პასპორტის/პირადობის მოწმობის ნომერი, გაცემის თარიღი, ვის მიერ არის გაცემული).
- მიუთითეთ თქვენი განათლება, წარსული აქტივობა, რატომ თვლით თავს კვალიფიციურად ამ პროექტზე სამუშაოდ.
- მიუთითეთ მიღწევები, რომლებიც გაქვთ შესაბამის სფეროში.

იმ შემთხვევაში თუკი პროექტს ახორციელებს საინიციატივო ჯგუფი:

- მიუთითეთ ჯგუფის გაერთიანების საფუძველი (უნდა განიმარტოს რა პერიოდით შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი: იგი შექმნილია კონკრეტულად ამ პროექტის განხორციელებისათვის თუ არა; რა მოელის ჯგუფს პროექტის დასრულების შემდეგ)
- საინიციატივო ჯგუფის მიზანი(ები).
- მიუთითეთ რა საქმიანობა(ები) გაწია საინიციატივო ჯგუფმა მისი არსებობის პერიოდში.
- მიუთითეთ ჯგუფის წევრების ბიოგრაფია.
- მიუთითეთ აპირებს თუ არა ჯგუფი გახდეს იურიდიული პირი.

აღნიშნული პუნქტი უნდა მოიცავდეს ასევე ინფორმაციას იმ პირებსა თუ ორგანიზაციას(ებ)ზე, რომლებიც არიან თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტის შემსრულებლები. პროექტის განხორციელებაში მონაწილე პირების ბიოგრაფიები / CV-ები არაუმეტეს ორგვერდიანი რეზიუმეს სახით უნდა იქნას წარმოდგენილი. ამასთან აუცილებელია თანხმობა პროექტის განხორციელებაში მონაწილეობაზე დაადასტურონ ხელმოწერებით. აღნიშნეთ არსებობს თუ არა ინტერესთა კონფლიქტი

კი  არა

### განმარტება

თუ თქვენთვის ცნობილია, რომ პროექტის დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიმღებ პირს/პირებს (ფონდის პროგრამის კომისიის ან/და ფონდის აღმასრულებელი საბჭოს წევრს/ებს, ფონდის აღმასრულებელ დირექტორს) შესაძლოა ჰქონდეთ ინტერესთა კონფლიქტი, გთხოვთ მიუთითოთ შესაბამისი პირი/ები და ინტერესთა კონფლიქტის სახე.

## პროექტის აღწერა

პროექტის აღწერა არის სააპლიკაციო ფორმის ერთერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი. მისი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ორ გვერდს. აღნიშნული პუნქტი სასურველია დაიყოს ქვეპუნქტებად, რომელშიც გაერთიანდება შემდეგი სახის ინფორმაცია:

### ა) პრობლემის განსაზღვრა (არსებული სიტუაციის ანალიზი)

გულისხმობს იმ კონკრეტული პრობლემის ხაზგასმას, რომლის საპასუხოდაც არის მიმართული თქვენი პროექტი.

### ბ) მიზანი

გულისხმობს ფართო, ზოგად დებულებას იმის შესახებ, თუ რისი მიღწევა გსურთ. პროექტის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ისეთი სასურველი გარემოს ან პირობების შექმნა, რომელიც მიმართული იქნება ზემოთ აღწერილ პრობლემასთან.

### გ) ამოცანები

გულისხმობს კონკრეტულ ნაბიჯებს მიზნის მისაღწევად. აქ უნდა მიუთითოთ რა ამოცანების შესრულებას ისახავთ პროექტში მითითებული მიზნის მისაღწევად. მიზნის მისაღწევად შეიძლება დაისახოთ ერთი, ორი ან რამოდენიმე ამოცანა პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით.

### დ) განხორციელების გზები

გულისხმობს კიდევ უფრო კონკრეტულ ნაბიჯებს თქვენს მიერ დასმული ამოცანების შესასრულებლად. განხორციელების გზები არის პროცესი, რომელმაც პასუხობს შემდეგ კითხვებს:

- 1) “როგორ?” - როგორ განახორციელებთ თქვენი პროექტის ამოცანებს?
- 2) “ვინ?” - ვინ მონაწილეობს თქვენი პროექტის განხორციელებაში? რა არის მათი ფუნქციები პროექტში?

## პროექტის შესრულების განრიგი

ეს თავი უნდა შეიცავდეს პროექტის დროში განაწილებულ მსვლელობას. მასში უნდა აისახოს ეტაპებად დაყოფილი პროექტის შესასრულებლად გასაწევი საქმიანობა, განაწილებული თვეების (დღეების, კვირების, კვარტლების) მიხედვით თქვენი პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე. მაგ.:

I ეტაპი - იანვარში შევასრულებთ მოსამზადებელ სამუშაოს თებერვალში მოვახდენთ ოფისის ტექნიკით აღჭურვას

II ეტაპი - მარტში გამოვაცხადებთ კონკურსს აპრილში შევარჩევთ 25 მონაწილეს.

... და ა.შ.

ან შეიძლება დროის ტაბულის შედგენა:

ეტაპი	საქმიანობა	თ ვ ე											
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
I	მოსამზადებელი სამუშაო												
	ოფისის აღჭურვა												
II	კონკურსის გამოცხადება												
	25 მონაწილის შერჩევა												
	სხვა...												
III													
IV													

დროის ტაბულა ძალზე მოხერხებულია ვადების საჩვენებლად. მაშინ როდესაც ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა რამ არის დაგეგმილი, მასზე ეს შეიძლება თვალსაჩინოდ და გასაგებად გამოისახოს. ტაბულა იმითაცაა ხელსაყრელი, რომ მოვლენათა თანმიმდევრობას ასახავს იმ შემთხვევებისათვისაც, თუ დაფინანსებას იმაზე გვიან მიიღებთ, ვიდრე ვარაუდობდით.

## ბიუჯეტი

ბიუჯეტი განაცხადის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი უნდა იყოს ლოგიკურ კავშირში პროექტის მითითებულ ამოცანებთან. თქვენი პროექტის ბიუჯეტის შედგენისას აუცილებლად უნდა დაიცვათ შემდეგი წესები:

- ბიუჯეტს უნდა ჰქონდეს ცხრილის სახე (იხ ცხრილი);
- თუ დაფინანსების წყარო რამდენიმეა, ცხრილს შესაბამისად უნდა დაემატოს სვეტი, სადაც მითითებულ იქნება: ა) დაფინანსების წყარო, ბ) დაფინანსების საგანი (სამუშაო/მომსახურება) და გ) თანხის რაოდენობა;
- ბიუჯეტი უნდა შეიცავდეს მხოლოდ იმ სამუშაოებს/მომსახურებებს სფეროებს, რომლებიც შეესაბამება პროექტის ამოცანებს (*ქვემოთ მოყვანილი სამუშაოები/მომსახურებების სფეროები მხოლოდ მაგალითებია*). არ შეიტანოთ ბიუჯეტში ის პუნქტები, რომლებიც არ არის აუცილებელი, არ არის არსებითი, ან შეუსაბამოა თქვენი პროექტისთვის.
- ბიუჯეტის პუნქტებზე ფასები/ღირებულება უნდა მიეთითოს აშშ დოლარებში.

**ბიუჯეტის სავარაუდო ვერსია**

N	სამუშაოს/მომსახურების დასახელება	საცალო ღირებულება	რაოდენობა	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა	დაფინანსების სხვა წყაროდან მოთხოვნილი თანხა	სულ
<b>1.</b>	<b>აღჭურვილობა</b>					
1.1	კომპიუტერი					
1.2	პრინტერი					
1.3	კარტიჯი					
1.4	ა. შ.					
	<b>სულ</b>					
<b>2.</b>	<b>მომსახურება</b>					
2.1	სატრანსპორტო საშუალებების იჯარა					
2.2	ბროშურის/ცნობარის გამოცემა					
2.3	მრგვალი მაგიდის / პრეზენტაციის ხარჯები					
2.4	ა. შ.					
	<b>სულ</b>					
<b>3.</b>	<b>ხელფასები/ჰონორარები</b>					
3.1	თანამშრომელთა ხელფასები					
3.2	მოწვეული ექსპერტის/ექსპერტების ჰონორარი					
3.3	თარჯიმნის ანაზღაურება					
3.4	ა. შ.					
	<b>სულ</b>					
<b>5.</b>	<b>საოპერაციო ხარჯები</b>					
5.1	ოფისის იჯარა					
5.2	კომუნალური ხარჯი					
5.3	საკომუნიკაციო ხარჯი					
5.4	საკანცელარიო ხარჯები					
5.5	ა.შ					
<b>6.*</b>	<b>საბანკო მომსახურება</b>					
	<b>სულ</b>					

- აღჭურვილობის ჩამონათვალში კომპიუტერულ, აუდიო, ვიდეო თუ სხვა სახის ტექნიკაზე აუცილებლად უნდა მიეთითოს კონფიგურაცია, საფირმო დასახელება და მოდელის ნომერი.
- აღჭურვილობაზე თუ მომსახურებაზე მითითებული ფასები უნდა იყოს დასაბუთებული და ბაზრის შესატყვისი.

\* საბანკო მომსახურებისთვის მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბიუჯეტის პუნქტების ჯამის 1%-ს.

## მოსალოდნელი შედეგები

განაცხადის ფორმის ამ ნაწილში აღწერეთ ის სავარაუდო ეფექტი ან მოსალოდნელი შედეგი, რაც მოყვება თქვენი პროექტის წარმატებით განხორციელებას. სასურველია შედეგები დაყოფილი:

- ა) რაოდენობრივი მაჩვენებლებით
- ბ) თვისობრივი მაჩვენებლებით

სასურველია მიუთითოთ, აგრეთვე რა გავლენა შეიძლება იქონიოს თქვენს მიერ განხორციელებულმა პროექტმა სფეროზე, საზოგადოებაზე და ა.შ.

## მონიტორინგი და შეფასება

განაცხადის ფორმის ამ ნაწილში თქვენ უნდა შესთავაზოთ ფონდს თუ როგორ აწარმოოს თქვენი პროექტის მიმდინარეობაზე დაკვირვება და რა კრიტერიუმებით შეაფასოს მისი წარმატება.

### მონიტორინგი

ამ ნაწილში უნდა მიუთითოთ თუ როგორი იქნება კონკრეტულად თქვენი პროექტის განვითარებაზე თვალყურის დევნების (მონიტორინგის) მექანიზმი და პერიოდულობა.

### შეფასება

მიუთითეთ ის სავარაუდო კრიტერიუმები (მაჩვენებლები), რომლებიც განსაზღვრავენ თქვენი პროექტის წარმატებას.